ქ. თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ალიბეგნის ქ.10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.16.06.039.039) მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი

მუშა პროექტი

დაამუშავა:  /ლ. მექვაბიშვილი/

ქ. თბილისი 2023წ.

შინაარსი

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. დასაშლელი შენობები და მიმდებარე ტერიტორია
3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
4. სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა
5. უსაფრხოების ტექნიკა
6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

III – გამოყენებული ლიტერატურა

IV – სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

გრაფიკული ნაწილი (მოპ-1)

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავების საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
   – მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
   – აზომვითი ნახაზები;

ბ. პროექტის შედგენის წინ მოხდა შენობების, ეზოს, მთლიანად ტერიტორიისა და მიმდებარე ქუჩების დათვალიერება დაშლის პირობების შესწავლითა და გაანალიზებით.

ც. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. დასაშლელი შენობები და მიმდებარე ტერიტორია

წინამდებარე ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, ჩუღურეთის რ-ში ადიგენის ქ. 10 მდებარე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ორგანიზაციას. ახალი მშენებლობისათვის გამიზნულ ტერიტორიაზე, რომელიც რეგისტრირებულია საკადასტრო ნომრით, ს/კ **01.16.06.039.039; igi** წარმოადგენს **marTkuTxa** ფორმის ნაკვეთს, რომლის ფართობი შეადგენს **1500** მ2 სადემონტაჟო შენობები წარმოადგენენ **2 mijriT** მდგომ **sacxovrebeli** დანიშნულების ნაგებობას, რომელთაგან ერთი შენობა ორსართულიანია, ხოლო დანარჩენი ორი ნაგებობა ერთსართულიანია.

ნაკვეთს ერთი მხრიდან ადიგენის ქუჩა ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან – განაშენიანებული ნაკვეთები. ტერიტორია შემოღობილია კაპიტალური ღობით და ლითონის ჭიშკრით.

ორსართულიანი შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით 20.1X15,0 მეტრზე.
იგი აგებულია აგურით და მცირე ზომის ბეტონის ბლოკებით,სართულშუა გადახურვა და ორქანობიანი სახურავი – ხის კოჭებით, სახურავი – მოთუთიებული ლითონის ფურცლები ორმაგი გადაკეტვით.

ღიობების შევსება – ძირითადად ხის ნაკეთობებით, კარებიც ხისაა..

წინ შენობას აქვს გადახურული წინაფრა გაბარიტული ზომებით გეგმაში 12,1X17 მეტრი, კიბის საფეხურები – ანაკრები ბეტონის.

დანარჩენი ორი ერთსართულიანი შენობა იდენტურად მართკუთხა ფორმისაა, აგებული მცირე ზომის ბეტონის ბლოკებით, სახურავი – არ აქვს გაბარიტული ზომებია გეგმაში 11.3X5.8 მეტრი და 13.0X4.5მ2.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები.

ტერიტორიის ფართი – 150მ^2

შენობის 01 ფართი – 461.5 მ^2

შენობის 02 ფართი – 53.1 მ^2

შენობის 01 ფართი – 66.2 მ^2

3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები.

სადემონტაჟო ნაგებობების დაშლამდე აუცილებელია არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.
შენობების დაშლა ხდება სამონტაჟო სამუშაოების თანმიმდევრობის საპირისპიროდ, ე.ი. ზემოდან ქვევით.
სადემონტაჟო სამუშაოები ექსკავატორის ბულდოზერის ფარით მეშვეობით, საავტომობილო ამწის და ხელით სანგრევი ჩაქუჩის მეშვეობით.

4. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

იმის გამო, რომ სადემონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობა სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული არ არის, მშენებლობის ხანგრძლივობას ვნიშნავთ ანალოგიური ხასიათის სამუშაოების გამოცდილების გათვალისწინებით – 3 თვე, მათ შორის 2 დღე – მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს ტერიტორიის მომზადება სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად და სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის მოწყობა.

5. უსაფრთხოების ტექნიკა.

1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშნებლო მოედანზე დაუშვებელია.
2. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.
3. სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა СНиП-III-4-80 თავის “უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.

4. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება დაიშვება ინჟინრების ხელმძღვანელობით, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ასეთი სახის სამუშაოების ჩატარების.
5. მუშა-მოსამსახურე პერსონალი დაიშვება სამუშაოდ მხოლოდ 18წ. ასაკიდან.
6. სახიფათო ზონები აუცილებლად უნდა იყვნენ აღნიშნულნი და შემოღობილნი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
7. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებამდე და მათი მსვლელობის დროს შენობა და მისი ცალკეული ელემენტები უნდა იყვნენ შემოწმებულნი მდგრადობაზე, თუ ხდება აუცილებელი, სპეციალისტი, რომელიც თვალს ადევნებს სადემონტაჟო პროცესს, იღებს გადაწყვეტილებას მათი გამაგრების დროებითი საყრდენების მეშვეობით ან მიწის უკუჩაყრით და ა.შ.
8. სადემონტაჟო სამუშაოების მსვლელობის დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ამინდის მდგომარეობას, სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია, როდესაც ქარის სიჩქარე აღემატება 10მ/წმ.
9. აკრძალულია სადემონტაჟო შენობის სარდაფში ან სხვა სათავსოში ყოფნა, თუ ზემოთ დაგროვილია სამშენებლო ნაგავი.
10. დასანგრევ შენობაში დაუშვებელია სამუშაო და საყოფაცხოვრებო ნაგებობების განთავსება. საყოფაცხოვრებო სათავსი უნდა განლაგდეს სამშენებლო ნაკვეთზე სადემონტაჟო შენობიდან მანძილზე არანაკლებ მისი 2 სიმაღლისა დაშლის მიმართულებით და არანაკლებ მისი 1,5 სიმაღლისა ყველა სხვა მიმართულების შემთხვევაში. მინიმალური მანძილი 10 მეტრია.
11. დემონტაჟის დროს ქვედა სართულზე ყველანაირი სამუშაოს ჩატარება კატეგორიულად აიკრძალოს

6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი.

ა. სამუშაოების დაწყება დაიშვება არქიტექტურული სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. სადემონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.

დ.სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია მოირწყას, ხოლო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მოხდეს დახურული ან ტენიანი ავტოტრანსპორტით.

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი
1.	~~ექსკავატორი ბულდოზერის ფარით~~		1
2.	საავტომობილო ამწე	КС 3571	1
3.	"ბოლგარკის" ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	4
4.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპლ.	5
5.	გადასატანი კომპრესორი	СО-45	1
6.	სანგრევი ჩაქუჩი	–	2
7.	ავტოგენური საჭრელი აპარატი	კომპლ.	2
8.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადასხვა	2
9.	ჩასაბმელი სამარჯვეები	კომპლ.	2
10.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლ.	5
11.	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1Х2Х2 (Н)	ცალი	2
12.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	НЭ-4602	2
13.	პერფორატორები	Э-47	2
14.	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ТЭ-66ე	2
15.	ვიბროსამსხვრევი	С-47614	2
16.	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
17.	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	–	3
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობა შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიური ან უფრო თანამედროვეთი.			

III – გამოყენებული ლიტერატურა

СНиП III-4-80 Техника безопасности в строительстве
СНиП 3-02-01-87 Земляные сооружения
СНиП 3-01-01-85 Организация строительного производства
СНиП РН-73 Расчетные нормативы

IV. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე						II თვე						III თვე						IV თვე						V თვე						VI თვე					
	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	31	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	31	5	10	15	20	25	31	5	10	15	20	25	28
მოსამზადებელი სამუშაოები, დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა	2																																			
სახურავების დაშლა	1	3																																		
შენობების მიწისზედა კონსტრუქციების დაშლა												1	1	7																						
შენობების საძირკვლის კონსტრუქციების დაშლა																																				
ტერიტორიის დალაგება და სამშ.ნაგვის გატანა																																				

დაამუშავა *ლ.მექვაბიშვილი*

სადემონტაჟო სამუშაოების გენგეგმა



ექსპლიკაცია

1. სადემონტაჟო ობიექტი 1
2. სადემონტაჟო ობიექტი 2
3. სადემონტაჟო ობიექტი 3
4.დროებითი ღია საწყობი
5.სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
6.ბიოტუალეტი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პრ. მთავარი არქ. ავტორი	მ. თავართქილაძე.	
კონსტრუქტორი.		
არქიტექტორი.		
შესრულა.	ნ.კვარაცხელია	
შემოწმა.	მ. თავართქილაძე.	